კატალოგი

საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: ქ. ქუთაისი, 4600; მ. დვალიშვილის ქ. №13

ტელ: +995(431) 24-37-03

ვებ. გვერდი: www.kms.edu.ge

e-mail: info@kms.edu.ge

ქ. ქუთაისი 2019 წელი

შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლის მისია:

- ინდივიდის პროფესიული განვითარების, პროფესიული კარიერის განვითარებისა და სოციალური დაცვის ხელშეწყობა, შესაბამისად მოსახლეობის პროფესიულ-საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილება,
- შიდა და საერთაშორისო შრომის ბაზრის უზრუნველყოფა კონკურენტუნარიანი,კვალიფიციური კადრებით;
- პროფესიული განათლების შესაბამისობის უზრუნველყოფა სწრაფად და მუდმივადცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;
- დასაქმებულთა კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობის გზით;
- არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებთან მოსახლეობის ადაპტაციის ხელშეწყობა, საკუთარი ბიზნესი სწამოწყების და/ან თვითდასაქმების გზით;
- პროფესიულსტუდენტთა მობილობის ხელშეწყობა;
- პრინციპის - „სწავლა მთელისიცოცხლის განმავლობაში“ - ხელშეწყობა და განვითარება;
- პროფესიული განათლების სფეროში სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობის სისტემის ხელშეწყობა.

ხედვა:

- 2020 წლისთვის შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლა იქნება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც პასუხუბს როგორც ადგილობრივ,ასევე საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

ღირებულებები:

- სამართლიანობა,გამჭვირვალობა,სანდოობა.

კოლეჯის მართვა, მართვის ორგანოები, სტრუქტურა

1. კოლეჯის მართვის ორგანოებია:

ა) დამფუძნებელთა (პარტნიორთა) კრება;

ბ) რექტორი;

2. კოლეჯის სტრუქტურული ერთეულებია:

ა) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;

ბ)სასწავლო პროცესის მართვის სამსახური;

გ) ფინანსური სამსახური;

დ)კანცელარია;

ე) ბიბლიოთეკა;

ვ)საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური;

ზ)სამედიცინო სამსახური;

თ)დაცვის და უსაფრთხოების სამსახური.

აკადემიური კალენდარი

- ერთი აკადემიური საათის ხანგრძლივობა – 55 წუთია. ზოგიერთი კურსის სწავლება შესაძლებელია მიმდინარეობდეს კურაციული სისტემით;
- სააუდიტორიო მუშაობა მიმდინარეობს ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით (შესაძლოა შაბათი დღის გამოყენება)
- პრაქტიკები: სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა შეიძლება მიმდინარეობდეს, როგორც ძირითადი სასწავლო კალენდარის განმავლობაში, ასევე მისთვის გამოიყოს დამატებითი დრო შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებიდან გამომდინარე.

სწავლის საფასური

- შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლაში სწალის საფასური განისაზღვრება 1250 (ერთი ათასს ორასსორმოცდაათი) ლარით.

დასვენების დღეები:

- გიორგობა – 23 ნოემბერს;
- ქრისტეს შობა – 30 დეკემბრიდან 8 იანვრამდე
- ნათლისღება -19 იანვარი
- დედის დღე – 3 მარტს
- ქალთა დღე – 8 მარტს
- აღდგომის კვირა – (5 დღეს) დიდი ხუთშაბათიდან ორშაბათის ჩათვლით;
- დამოუკიდებლობის დღე – 26 მაისს.



საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა:

1. საექთნო საქმე (მილევან რეჟიმში)

I. სფეროს აღწერა

პრაქტიკოსი ექთანი არის ჯანდაცვის მიმართულების საექთნო საქმის დარგის კვალიფიკაცია, მას ჯანმრთელობის დაცვის სისტემისაში ერთ–ერთი საკვანძო და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მისი დანიშნულებაა ნებისმიერი ასაკის ინდივიდების, ოჯახების, მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების ან/და თემის ჯანმრთელობის დაცვა და დაავადებათა პრევენცია, ჯანმრთელობის აღდგენა–შენარჩუნებისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვის მეშვეობით. პრაქტიკოსი ექთანი გადამწყვეტ როლს ასრულებს ავადობა–სიკვდილობის მინიმიზაციაზე ორიენტირებული ჯანდაცვის სისტემის ჩამოყალიბებასა და ეფექტურობის უზრუნველყოფაში.

პრაქტიკოსი ექთნის საქმიანობა ასევე მოიცავს ავადმყოფთა, უნარშეზღუდულთა ანდა ტერმინალურ პაციენტთა მოვლას/მართვას.

საექთნო საქმის თეორიის, საბაზისო სამედიცინო და ქცევითი მეცნიერებების ცოდნისა და ძირითადი კლინიკური უნარების პრაქტიკაში გამოყენების მეშვეობით პრაქტიკოსი ექთანი ადექვატურად პასუხობს მოსახლეობის ჯანდაცვის მუდმივად ცვლად საჭიროებებს და ავლენს ახალ გამოწვევებზე რეაგირების უნარს. სიცოცხლის მანძილზე სწავლა და უწყვეტი პროფესიული განვითარებისთვის მზადყოფნა – პრაქტიკოსი ექთნის ერთ–ერთი ძირითადი კომპეტენციაა.

სამედიცინო მიღწევები და თანამედროვე ტექნოლოგიები პრაქტიკოსი ექთნისგან მოითხოვს მაღალი დონის

პროფესიულ ცოდნას, უნარებს, დარგობრივ და ზოგად კომპეტენციებს, რასაც უზრუნველყოფს ქვეყნის ჯანდაცვის პრიორიტეტებზე, ეპიდემიოლოგიურ, დემოგრაფიულ, სოციალურ და კულტურულ თავისებურებებზე ორიენტირებული და მტკიცებითი მედიცინის პრინციპებზე დაფუძნებული საგანმანათლებლო პროგრამა.

II. დასაქმების სფერო

პრაქტიკოსი ექთნის დასაქმების სფერო მოიცავს სხვადასხვა დონის დიაგნოსტიკურ, სამკურნალო, პროფილაქტიკურ და სარეაბილიტაციო დაწესებულებებს, ჰოსპისებს, ეთიკურ კომიტეტებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს და ქვეყნის კანონმდებლობით განსაზღვრულ სფეროებს.

III. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

პრაქტიკოსი ექთნის განათლება არის ერთსაფეხურიანი (მეხუთე საფეხური). საფეხურისათვის შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი კვალიფიკაცია და გაიცემა პროფესიული დიპლომი.
პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 150 კრედიტს. კრედიტების მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდგომ კურსდამთავრებულს ენიჭება პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა შესაბამისი პროფესიული დიპლომი.

ისწავლე დასაქმებისათვის!

2. ფარმაცევტის თანაშემწე(მილევად რეჟიმში)

I. სფეროს აღწერა

ჯანდაცვის სისტემის განვითარების თანამედროვე ტემპმა განაპირობა ფარმაცევტიული წარმოების სწრაფი განვითარება. ფარმაცევტული საქმიანობა ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე დინამიურად განვითარებადი დარგია. მას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობის ჯანმრთელობის უზრუნველყოფის სფეროში, რომლის წარმატებულად ფუნქციონირებისათვის სხვადასხვა პროფილის სპეციალისტებია საჭირო. მათ შორისაა ფარმაცევტულ საწარმოებში, ლაბორატორიებში, აფთიაქებში და ფარმაცევტულ ბაზებში მომუშავე სათანადო ცოდნისა და კომპეტენციების მქონე ფარმაცევტის თანაშემწის პროფესიული კადრები.

II. დასაქმების სფერო

ფარმაცევტის თანაშემწის დასაქმების ადგილებია – აფთიაქები, სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებები, ფარმაცევტული ბაზები, ფარმაცევტული პროდუქციის საწარმოები, ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური, წამლის ხარისხის კონტროლის ლაბორატორიები , სტომატოლოგიური და სამედიცინო ტექნიკის მეღაზიები.

III. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

ფარმაცევტის თანაშემწის პროფესიული განათლება არის ერთსაფეხურიანი (მეხუთე საფეხური). საფეხურისათვის შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა პროფესიული დიპლომი.

ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 120 კრედიტს. კრედიტების მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას. კურსდამთავრებულს ენიჭება ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა შესაბამისი პროფესიული დიპლომი.



პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისათვის(საგნობრივი)

.1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ხუთი დადებითი შეფასებით.

.2. შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51–60%;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

.4. დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად – მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. შეფასება უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

.5. შუალედურ ან დასკვნით გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს საშუალება ეძლევა ერთხელ გავიდეს დამატებით შუალედურ ან დასკვნით გამოცდაზე.

.6. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, ძირითადი გამოცდიდან არანაკლებ 10 დღეში.

.7. გამოცდის ჩატარების ფორმა და შეფასებები განსაზღვრულია შესაბამისი სილაბუსებით.

8. თეორიული და პრაქტიკის კომპონენტის შეფასება ფორმდება შესაბამისი შეფასების უწყისებით.

ანონსი

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (შემდგომში - ჩარჩო დოკუმენტი) სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე, რომლის საფუძველზეც შედგენილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - საექთნო განათლება / Nursing

2. სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შედგენილია პრროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 09109-პ

3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე

ა) ასოცირებული ხარისხი საექთნო საქმეში/Associate Degree in Nursing *(ამოქმედდეს 2020 წლის 29 თებერვლიდან)*

ბ) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში/Fifth Level Vocational Qualification in Nursing *(მოქმედების ვადა 2020 წლის 29 თებერვალი[1]).*

აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCED) მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - „საექთნო და სამეანო საქმე", კოდი 0913, აღმწერი - *"შეისწავლის ავადმყოფი, სნეული ან სპეციალური საჭიროებების მქონე პირების ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფას და ექიმებისა და სხვა სამედიცინო და ჯანდაცვის პერსონალისთვის დახმარების გაწევას პაციენტების დიაგნოზის დასმისა და მკურნალობის დროს. საექთნო საქმის კვალიფიკაცია ფოკუსირებულია ავადმყოფობისა და რეაბილიტაციის დროს პაციენტების ჯანმრთელობის შენაჩუნებასა*

[1] საფუძვლები:
1.საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის N120/ნ ბრძანება „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო" დამტკიცების შესახებ.
2. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N69/ნ ბრძანება „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის" დამტკიცების შესახებ.

და მოვლაზე. ის მოიცავს მოხუცების და ასევე სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანების ჯანდაცვას. სამეანო საქმე შეისწავლის ქალის მოვლას (ჯანმრთელობის დაცვას) ორსულობის, მშობიარობისა და მშობიარობის შემდგომ პერიოდში. ის ასევე მოიცავს ჩვილის მოვლასა და დახმარებას მეძუძური დედებისთვის."

4. მიზანი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი, ზოგად მოვლაზე პასუხისმგებელი ექთანი.

5. დაშვების წინაპირობა - სრული ზოგადი განათლება

6. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები

საექთნო საქმეში კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ჯანდაცვის სფეროში, სხვადასხვა პროფილის სამედიცინო დაწესებულებებში, შინმოვლის სფეროში, სხვა ტიპის ორგანიზაციებში, რომლებიც საჭიროებს საექთნო მომსახურებას.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდები: 86.1; 86.10; 86.10.0; 86.2; 86.21; 86.21.0; 86.22; 86.220; 86.23; 86.23.0; 86.9; 86.90; 86.90.0.
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 3221

7. სტრუქტურა და მოდულები

საექთნო განათლების საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს 180 კრედიტის რაოდენობის ზოგად და პროფესიულ მოდულებს. ზოგად მოდულთა კრედიტების რაოდენობა შეადგენს 9 კრედიტს, ხოლო პროფესიული მოდულების კრედიტების რაოდენობა კი 171. **საექთნო საქმეში** კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს არანაკლებ **180 კრედიტი.**

მოდულები კლასიფიცირებულია შემდეგნაირად:

- ზოგადი მოდულები - 9 კრედიტი
- თეორიული სწავლება საბაზო მეცნიერებები - 24 კრედიტი
- თეორიული სწავლება საექთნო საქმე - 45 კრედიტი
- თეორიული სწავლება სოციალური მეცნიერებები - 6 კრედიტი
- პრაქტიკული სწავლება - 6 კრედიტი
- კლინიკური სწავლება - 90 კრედიტი

საექთნო განათლების საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს, როგორც თეორიულ და პრაქტიკულ, ასევე - კლინიკური სწავლების კომპონენტსაც. სწავლება-სწავლის პროცესის ხანგრძლივობა არის სამი წელი.

„მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

- ქართული ენა A2 15 კრედიტი
- ქართული ენა B1 15 კრედიტი
- **ქართულ ენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 180 კრედიტი , სწავლის ხანგძლივობა 37 სასწავლო თვე**
- **არაქართულ ენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 210 კრედიტი , სწავლის ხანგძლივობა 32 სასწავლო თვე**

8. სწავლის შედეგები:

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. შეაფასოს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა
2. განახორციელოს თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა
3. განახორციელოს ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა
4. განახორციელოს გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა
5. განახორციელოს კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა
6. განახორციელოს პერიოპერაციული პაციენტის საექთნო მართვა
7. განახორციელოს სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა
8. განახორციელოს პედიატრიული პაციენტის საექთნო მართვა
9. განახორციელოს და უზრუნველყოს შინმოვლის მომსახურების გაწევა
10. განახორციელოს და უზრუნველყოს გერიატრიული პაციენტის საექთნო მართვა
11. დაგეგმოს და განახორციელოს საკუთარი პრაქტიკისა და მოვლის ხარისხის შეფასება.

9. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია განმავითარებელი და/ან განმსაზღვრელი შეფასებით. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე - ჩათვლის პრინციპის გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

პროფესიული სტუდენტის შეფასებებისას მოდულის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევისთვის აუცილებელია, რომ თითოეული სწავლის შედეგი დადასტურებულ იქნას არანაკლებ 75 %-ით.

განმსაზღვრელი შეფასებისას, უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები მოცემულია მოდულებში.

10. კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს საექთნო განათლების საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა.

11. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია ამავე ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებული წესით.

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (შემდგომში - ჩარჩო დოკუმენტი) სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროგრამა - ფარმაცია (სააფთიაქო)

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროგრამა 09110-3

3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე

ა) ასოცირებული ხარისხი ფარმაციაში / Associate Degree in Pharmacy *(ამოქმედდეს 2020 წლის 29 თებერვლიდან)*

ბ) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში/Fifth Level Vocational Qualification in Pharmacy *(მოქმედების ვადა 2020 წლის 29 თებერვალი[2]).*

აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - ,,ფარმაცია", კოდი 0916, აღმწერი - ,, შეისწავლის წამლებს და ადამიანზე მათ გავლენას. მოიცავს წამლის მომზადებას, განაწილებასა და ადმინისტრიებას."

4. მიზანი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდა, კერძოდ, პროფესიული კადრების მომზადება, რომლებიც შეძლებენ ფარმაცევტული და პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღების–განთავსების, აღწერის, პარაფარმაცევტული პროდუქციის შერჩევა-მიწოდების პროცესში მონაწილეობას, ნაშთების პერიოდულ კონტროლს, მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმის დაფასოებას, რეცეპტის მიხედვით წამლის მომზადებას და ურეცეპტოდ გასაცემი ფარმაცევტული პროდუქციის რეალიზაციას;

5. დაშვების წინაპირობა - სრული ზოგადი განათლება.

6. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები

ფარმაციაში კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ფარმაცევტის/ფარმაცევტის თანაშემწის პოზიციაზე აფთიაქებში (ავტორიზებულ აფთიაქში, სპეციალიზებულ და საცალო რეალიზაციის სავაჭრო ობიექტში), საბითუმო რეალიზაციის ობიექტზე, სამედიცინო და ფარმაცევტული ტექნიკის მაღაზიებში.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდები: 46.46, 46.46.0, 47.73, 47.73.0, 82.92.0
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO) კოდები: 2262, 3213

7. სტრუქტურა და მოდულები

საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს ითვალისწინებს 3 ზოგად მოდულს, ჯამური 11 კრედიტის მოცულობით და 26 პროფესიულ მოდულს, ჯამური 109 კრედიტის მოცულობით ასევე, ითვალისწინებს ერთ არჩევით მოდულს 3 კრედიტის მოცულობით.

„მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

- ქართული ენა A2 15 კრედიტი
- ქართული ენა B1 15 კრედიტი
- **ქართულ ენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 123 კრედიტი , სწავლის ხანგძლივობა 21 სასწავლო თვე**
- **არაქართულ ენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 153 კრედიტი , სწავლის ხანგძლივობა 26 სასწავლო თვე**

8. მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. შეამოწმოს პროდუქცია ვიზუალურად
2. დაადგინოს თანხმლებ დოკუმენტაციასთან იგივეობა
3. შეამოწმოს სასაქონლო ნიშნები და რაოდენობა
4. განათავსოს პროდუქცია სათანადო ადგილზე
5. ჩაატაროს სააფთიაქო ნაშთის პერიოდული კონტროლი
6. განახორციელოს ორიგინალური შეფუთვის მცირე შეფუთვებად დაფასოება–მარკირება
7. მომზადება რეცეპტის მიხედვით სითხოვანი, მყარი და რბილი წამლის ფორმები
8. გათვალისწინოს მომხმარებელთან ურთიერთობისას ფარმაცევტული ეთიკის და დეონტოლოგიის პრინციპები
9. განახორციელოს მომხმარებლისათვის სასურველი პროდუქციის შერჩევა-მიწოდება, კონსულტაციის გაწევა პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღების, გამოყენების და შენახვის პირობების შესახებ
10. განახორციელოს ურეცეპტოდ გასაცემი ფარმაცევტული პროდუქციის რეალიზაცია
11. განახორციელოს ანგარიშის მომზადება–ჩაბარება პროდუქციის მიღების, ნაშთის პერიოდული შემოწმების, ექსტემპორალური წამლის ფორმების მომზადების, მცირე შეფუთვებად წამლის ფორმების დაფასოების შესახებ
12. დაიცვას სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები, გარემოსა და უსაფრთხოების წესები.

9. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

შპს ქუთაისის სამედიცინო სკოლამ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შეიმუშავა საგანმანათლებლო პროგრამა.

10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;

ბ)არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პირმს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები მოცემულია მოდულებში.

პროგრამის მოდულების სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას *(მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა*), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

მართლმეტყველება

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ჟესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

მართლწერა

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

11. კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები

12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირმა სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

პარტნიორი ორგანიზაციები:

1. შპს ლჯ და კომპანია-დასავლეთ საქართველოს ტუპერკულიოზისა და ინფექციურ პათოლოგიათა ცენტრი;
2. შპს „კლინიკა-ლჯ“;
3. შპს ხონელიძის კლინიკა;
4. შპს ბომონდი;
5. ი/მ ირმა ჯანელიძე;
6. შპს სამფარმა;
7. შპს ქუთაისის დ.ნაზარიშვილის სახელობის საოჯახო მედიცინის რეგიონალური სასწავლო ცენტრი;
8. შპს აკად. ბ.ნანეიშვილის სახ. ფსიქიკური ჯამრთელობის ეროვნული ცენტრი.